

„ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ“  
ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 ოქტომბრის N01-02/167 ბრძანების დანართი 1  
(კოდიფიცირებული ცვლილებით - ბსუ-ს რექტორის N01-02/58, 01.03.2022 წ.)

**ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი**  
(გარდა ბსუ-ს ინგლისურენოვანი პროგრამისა)

1. ბსუ-ს სასწავლო პროცესი **2021-2022 სასწავლო წელს** წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

ა) 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები / ჯგუფში მუშაობა / სემინარები / ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა) დაიწყოს **2021 წლის 11 ოქტომბერს** და დასრულდეს **2022 წლის 29 იანვარს**;

ბ) 2021 - 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა დასრულდეს 2021 წლის 10 ოქტომბერს;

დ) საშობაო არდადეგები - 2021 წლის 31 დეკემბრიდან 2022 წლის 09 იანვრის ჩათვლით;

ე) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია - 2022 წლის 31 იანვრიდან 20 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 21 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით;

ვ) გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა - 2022 წლის 2 მარტი - 14 მარტი (სტუდენტურ პორტალზე განხორციელებული აკადემიური რეგისტრაციისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება - 2022 წლის 14-18 მარტი);

ზ) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) დაიწყოს **2022 წლის 21 მარტს** და დასრულდეს **2022 წლის 2 ივლისს**.

თ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 4 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 25 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით;

ი) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2022 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით.

2. **2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ში სასწავლო პროცესი** წარიმართოს შერეული (ჰიბრიდული) ფორმატით, შემდეგნაირად:

ა) **უმადლესი განათლების ყველა საფეხურზე** (საბაკალავრო, ზოგადი განათლების მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებზე, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, გარდა ერთსაფეხურიანისა) - **დისტანციურად მხოლოდ ლექციები**, ხოლო **საუნივერსიტეტო სივრცეში** - ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული/ლაბორატორიული;

ბ) ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე (ერთსაფეხურიანი პროგრამები (მედიცინა, სტომატოლოგია), ფარმაცია, ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია) სასწავლო პროცესი წარიმართოს საუნივერსიტეტო სივრცეში (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/ პრაქტიკული/ლაბორატორიული) ან/და კლინიკებში.

3. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით. დისტანციური სწავლების პირობებში, აკადემიური საათის ხანგრძლივობა განისაზღვრება ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სერვისების მეშვეობით მიწოდებული ინსტრუქციით (არანაკლებ 40 წთ-ით, სტუდენტთა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ელექტრონული კომუნიკაციის პირობით).